საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№1129 2016 წლის 13 ივნისი ქ. თბილისი

2016 წლის განმავლობაში კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ, აუქციონის გარეშე, დროებით სარგებლობაში გადაცემაზე საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

„სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს, 2016 წლის განმავლობაში, სახელმწიფო ქონება – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოები და დამხმარე ლიტერატურა უსასყიდლოდ, აუქციონის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ განსაზღვრული ვადით, სარგებლობაში გადასცეს კერძო სამართლის იურიდიულ პირებს – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ განსაზღვრული კატეგორიის მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის მიზნით.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**